საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 28 05/07/2016

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ღორეშის მემორიალური მუზეუმისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ღორეშაში მდებარე სკვერის სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, გადაცეს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ღორეშის მემორიალურ მუზეუმს“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით სოფელ ღორეშაში მდებარე სკვერი ფართით271კვმ. რეაბილიტაციის უფლებით /ს.კ. 36.06.36.311./, საინდიფიკაციო კოდი /443568596)

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

ი. მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე